# შპს მაგთიკომის ფიქსირებულ ქსელთან სავალდებულო დაშვების და საბითუმო მომსახურების შეთავაზების წინადადება („ოფერტა“)

# დანართი - საბანკო გარანტიის ტექსტი

**დანართი - საბანკო გარანტიის ტექსტი**

**ქალაქი თბილისი** **[თარიღი]**

**გარანტი:** [დასახელება] [საიდენტიფიკაიო ნომერი]
**გარანტის მისამართი: [იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი]**
**პრინციპალი:**[დასახელება] [საიდენტიფიკაიო ნომერი]
**ბენეფიციარი:** შპს „მაგთიკომი“ (ს/ნ: 204876606)
**საგარანტიო თანხა:** [----------]

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ „პრინციპალსა“ და „ბენეფიციარს“ შორის გაფორმებული უნდა გაფორმდეს/გაფორმებულია (იმის მიხედვით, თუ რა ეტაპზე ხდება გარანტიის წარმოდგენა) ---------- დაშვების მომსახურების ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება“) და „პრინციპალის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის უზრუნველსაყოფად საჭიროა საბანკო გარანტიის წარდგენა, „გარანტი“ თანახმაა გასცეს „პრინციპალის“ სახელზე წინამდებარე საბანკო გარანტია (შემდგომში - „საბანკო გარანტია“).

აღნიშნულის გათვალისწინებით, „გარანტი“კისრულობს გამოუთხოვად და უპირობო (რაც გულისხმობს, რომ მოთხოვნილი თანხის ყოველგვარი დასაბუთების და დოკუმენტარულად დადასტურების ვალდებულების გარეშე) ვალდებულებას, აუნაზღაუროს „ბენეფიციარს“ ნებისმიერი თანხა არაუმეტეს „საგარანტიო თანხისა“, „ბენეფიციარის“ პირველივე წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღის ვადაში.

„ბენეფიციარის“ მოთხოვნა „საგარანტიო თანხის“ ანაზღაურებაზე „გარანტისთვის“ წარდგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს:

- მოთხოვნილი თანხა;
- „ბენეფიციარის“ საბანკო რეკვიზიტები;
- მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (იმ შემთხვევაში, თუ იგი არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი).

„საბანკო გარანტია“ მოქმედებს [----------]მოთხოვნაზე ხელმომწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (იმ შემთხვევაში, თუ იგი არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი)ჩათვლით (შემდგომში „მოქმედების ვადა“). „ბენეფიციარის“ წერილობითი მოთხოვნა მიღებულ უნდა იქნას არაუგვიანეს აღნიშნული თარიღის ჩათვლით, შემდეგ მისამართზე:

## დანართი - საბანკო გარანტიის ტექსტი

„საბანკო გარანტია“ უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- „საბანკო გარანტიის“ „მოქმედების ვადის“ გასვლით;
- „გარანტის“ მიერ „ბენეფიციარისთვის“ საგარანტიო თანხის სრულად გადახდით;
- „ბენეფიციარის“ მიერ „საბანკო გარანტიიდან“ გამომდინარე საკუთარ უფლებებზე წერილობით უარის თქმით.

„საბანკო გარანტია“ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

„საბანკო გარანტიის“ თაობაზე ან მასთან დაკავშირებით წამოჭრილი ნებისმიერი დავის გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განიხილება საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად.